საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საირმის გორაზე (ნაკვეთები №89, 92, 99), ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

მოქალაქე თამაზ გაბისონიას თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საირმის გორაზე, ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე №89, 92,99-ზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საირმის გორაზე, ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე №89, 92,99-ზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. მეწარმე „მშენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2007 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი დ. შანიძე. თიხოვანი გრუნტების თვისებები განსაზღვრულია მათ მიერ. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი თვისებები გამოკვლეულია საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე----------1გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1ფურც
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 1ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია

რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 შურფი, მათი საერთო სიგრძე 18.3 მეტრს შეადგენს. შურფებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნიადაგი
2. ფენა – 2 – ქვიშნარი
3. ფენა – 3 – კენჭნარი
4. ფენა – 4 – გამოფიტული ქვიშაქვები და არგილითები

ანგარიშში მოცემულია საკვლევ მოედანზე არსებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა გამოკვლევა, რის საფუძველზეც ავტორი იძლევა წინადადებებს ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

საკვლევი ობიექტის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში, საირმის გორაზე, ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე №89, 92,99, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით არის გათვალისწინებული. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ჩატარებულ სამუშაოებზე ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/